CENTRA TBILISI TERMINAL
ცენტრა თბილისის ტერმინალი

13.06.2023
N 40.06.2023

ს.ა.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
„14" 06 2023წ.
№ 5417

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის
დროებით ფუნქციების შემსრულებელს

ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ.გაჩიანში შპს „ცენტრა თბილისის ტერმინალის" 22800 მ³ მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავის მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე შ.პ.ს. „ცენტრა თბილისის ტერმინალი"-ს მიერ 2023 წლის 8 ივნისის №5215 განცხადებაზე თქვენი №21/4450 (09/06/2023) წერილში მოცემული საკითხების/მოთხოვნების გათვალისწინებით დამატებით წარმოგიდგენთ მიმდინარე საქმიანობის შესახებ დაზუსტებულ ინფორმაციას, თანმხლებ დოკუმენტაციასთან ერთად.

შ.პ.ს. „ცენტრა თბილისის ტერმინალი"-ს 22800მ³ ჯამური მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავი განთავსებულია გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ გაჩიანში მდებარე, მის საკუთრებაში არსებულ 156817.00 კვ.მ. ფართობის, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ №81.06.09.258).

შ.პ.ს. „ცენტრა თბილისის ტერმინალი" -ს მიერ აღნიშნული ნავთობპროდუქტების საცავი შეძენილი იქნა 2020 წლის 27 ოქტომბრის აუქციონზე.

აღნიშნული ნავთობპროდუქტების საცავის საქმიანობა 2018 წლის 1 იანვრამდე დაიწყო, მაგრამ არა აქვს გარემოზე ზემოქმედების ნებართვა ან მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება. მაშინ როდესაც, „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის ი) ქვეპუნქტის შესაბამისად „ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, აგრეთვე თხევადი და ბუნებრივი აირების საცავების, ტერმინალების განთავსება, რომელთა ტერიტორიაზე განლაგებული ავზებიდან ერთ-ერთის მოცულობა 1000 კუბ.მ-ზე მეტია ან მათი ჯამური მოცულობა 1000 კუბ.მ-ს აღემატება" განეკუთვნებოდა ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებული საქმიანობას, ხოლო საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს I დანართის 47-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებული საქმიანობები, რომელთა განხორციელებაც 2018 წლის 1 იანვრამდე დაიწყო და რომლებსაც არა აქვს გარემოზე ზემოქმედების ნებართვა ან მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება, თუ აღნიშნული საქმიანობების განმახორციელებლებს არ მიუმართავთ გზშ-ის სფეროში შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მისაღებად, საჭიროებს სააგენტოს მიერ მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების ამ მუხლით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად მიღებას.

email: centratbilisiterminal@gmail.com

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს I დანართის 47-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად „ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების უფლების მისაღებად სააგენტოს 2024 წლის 1 იანვრამდე მიმართოს“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს I დანართის 47-ე მუხლის მესამე პუნქტის და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 11 ოქტომბრის №2-827 ბრძანებით დამტკიცებული „ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის შედგენისა და მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესები“-ს შესაბამისად, მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოგიდგენთ:

1. შ.პ.ს. „ცენტრა თბილისის ტერმინალი“ -ს ნავთობპროდუქტების საცავის მიმდინარე საქმიანობის ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშს (დოკუმენტის ნაბეჭდი და ელ. ვერსია)- 1 ეგზემპლიარი;
2. მიმდინარე საქმიანობით გამოწვეული გარემოზე ზემოქმედების შემცირების ღონისძიებათა გეგმა–გრაფიკს- (დოკუმენტის ნაბეჭდი და ელ. ვერსია)- 1 ეგზემპლიარი;
3. ტექნოლოგიურ სქემას;
4. მიმდინარე საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ ინფორმაციას, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად).
5. ამონაწერი სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან.

პატივისცემით,

ლევან მატუა

შ.პ.ს. „ცენტრა თბილისის ტერმინალი“ -ს დირექტორი

შპს ცენტრა თბილისის ტერმინალი
ctt
CENTRA TBILISI TERMINAL LLC
426541655